



“სააკაშვილი
დრუბლებში
დაფრინავს”

A2



ანტისემიტური -
რუსეთის ერთ-ერთი
პრობლემა

A5



“სამაგიდო”
ბიომონილა

B3

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 26 იანვარი, 2005 წელი. №17 (877)

ფასი 50 თეთრი

პოლიტიკა



სპიკერის დაპირება - კვირები იქნება

სპიკერის თქმით, პარლამენტმა თვისებრივად უნდა გარდაქმნას თავისი საქმიანობა და მუშაობის ახალ რეჟიმში გადავიდეს.

A2

უცხოეთი



ვინ არის დოქტორი ბაბარა?

ასადების დინასტია სირიაში სუნიტური უმრავლესობის ფონზე პატარა, მაგრამ გავლენიანი, ალავიტების რელიგიურ თემს მიეკუთვნება.

A5

საზოგადოება



“აღლავი” სახელმწიფო ქანცვლარისთან

კადეტთა კორპუსში რამდენიმე დღიანი ლოდინის შემდეგ, სტატუსდაკარგულმა კადეტებმა მთავრობას მისსავე “ტერიტორიაზე”, სახელმწიფო კანცელარიის შენობასთან იმ იმედით მიაკითხეს, რომ თავიანთი პრობლემით ასეთი სიახლოვის შემდეგ მინც შეაწესრიგდნენ.

A6

ანიონი

	26/1	27/1
თბილისი	9 ☁	11 ☁
ქუთაისი	13 ☁	14 ☁
ბათუმი	15 ☁	16 ☁
სოხუმი	12 ☁	14 ☁
ფოთი	15 ☁	16 ☁
თელავი	7 ☁	10 ☁
ზუბდიდი	14 ☁	16 ☁
გორი	7 ☁	8 ☁
ახმეტა	7 ☁	10 ☁
ქიათურა	9 ☁	11 ☁
ბაბრა	9 ☁	13 ☁
სამხრადია	14 ☁	15 ☁

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიხედვით

აშშ დოლარი	1.8250
ევრო	2.3696
ბრიტანული სტერლინგი	3.4009
რუბლი	0.0648

	A	B
ახვანი	A2	B2
პოლიტიკა	A3	B3
უცხოეთი	A5	B4
კორუფცია	A4	B5
საზოგადოება	A6	B6
სამართალი	A7	B7
რეკლამა	A8	B8



სუსტი, მაგრამ საუკეთესო

სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში

პოსტსაბჭოთა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება დიდი მონაპოვარია, თუმცა, მცირე დასკვნას გავაკეთებთ, თუ ვიფიქრებთ, რომ 2003 წლის ნოემბერში პარლამენტის შენობის წინ ათასობით ადამიანმა ნოემბრის თავსება წყივას იმიტომ შეუშვირა თავი, რომ სამოქალაქო საზოგადოებამ საქართველოში განვითარების პიკს მიაღწია.

მარიკო თავაძაძე

“ბევრად უფრო განუვითარებელია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანდა;” “საკმაოდ განვითარებულია, მან კლანური, კორუფციული სისტემა უარყო;” “მისთვის კანონმორჩილება ღირებულებას არ წარმოადგენს;” “განვითარებულია, მაღალი სამოქალაქო აქტიურობა რომ არა, რევოლუცია არ მოხდებოდა;” “არათანმიმდევრულია, რაღაც ენერჯის დახარჯავს და მერე ყოველდღიურობაში პასიური ხდება;” “საკმაოდ სუსტია, მაგრამ ეს არის ყველაზე საუკეთესო, რაც კი გავაჩნია;” - ასეთია მოკლე პასუხები კითხვებზე: რამდენად განვითარებულია სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში? მიუხედავად განსხვავებული შეხედულებებისა, რესპონდენტები ერთ რამეში უყოყმანოდ ეთანხმებიან ერთმანეთს: პოსტსაბჭოთა ქვეყნის პირობაზე, საქართველომ საკმაოდ მაღალ მაჩვენებელს მიაღწია. ფსიქოლოგები, პოლიტიკოსები, თავად სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები, ამ თემაზე საუბრისას, იმდენად ხაზგასმით ავლებენ პარალელებს რევოლუციამდელ და რევოლუციის შემდგომ პერიოდებს შორის, რომ თავისუფლად შეიძლება საკითხი ასე დაისვას: რით განსხვავდება ერთმანეთისაგან რევოლუციამდელი და რევოლუციის შემდგომი პერიოდის სამოქალაქო საზოგადოება?

თვალში საცემია, რომ შევარდნაძის რეჟიმის დროს სამოქალაქო სექტორი ბევრად უფრო ძლიერი იყო. დღევანდელ შენელებულ ტემპს ისიც განაპირობებს (ისევე ზედაპირიდან დანახვებზე მოგახსენებთ), რომ ბევრმა გამოკვეთილმა ფიგურამ სამოქალაქო სექტორიდან ხელი-სუფლები გადანიცვლა, თუმცა, ეს არ არის ერთადერთი და მთავარი მიზეზი. “მოლაპარაკე თავები არაფერ შუაშია, - შენიშნავს ლევან ბერძენიშვილი, რომლის აზრითაც, სამოქალაქო სექტორს დღეს სულაც არ კლავს საკადრო წყურვილი, - სინამდვილე ასეთია: ილუზიები გაქრა და სამოქალაქო საზოგადოების წამდვილი სახე გამოვლინდა. შევარდნაძის დროს სამოქალაქო საზოგადოება თავს უფრო კომფორტულად და შეიძლება ითქვას, ამაღლებულად გრძნობდა, რადგან ხელისუფლებასთან დაპირისპირება მისთვის დიდ სიძულეს არ წარმოადგენდა. სისტემა კრუმპირებული იყო, სამოქალაქო საზოგადოებას სერიოზული კვალიფიკაცია არ სჭირდებოდა იმისათვის, რათა იმდროინდელი ხელისუფლებისთვის ოპონირება გაეწია.”

ბერძენიშვილის დარად, გამჭრალ ილუზიებზე სხვებიც საუბრობენ. ფსიქოლოგი თემურ ჯალიაშვილი ფიქრობს, რომ რევოლუციის შემდეგ სამოქალაქო საზოგადოება კი არ შესუსტდა, არამედ საშუალება მოგვეცა, ზუსტად ისეთი დავეცნება, როგორც სინამდვილეშია: “რევოლუციის შემდეგ გაიკვია, რომ სამოქალაქო საზოგადოება ბევრად უფრო განვითარებულია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანდა. როცა საზოგადოება აბსურდის სიტუაციიდან გამოვიდა, დაეინახეთ, რომ ეს იყო საზოგადოების რეაქცია იმ სიტუაციაზე და არა თავად ამ საზოგადოების მახასიათებელი.” მწერალ დათო ტურაშვილის აზრით, სამოქალაქო საზოგადოებამ ჩვენში რაღაც ეტაპამდე მიაღწია, მაგრამ ჯერ კიდევ სერიოზულ განვითარებას საჭიროებს: “უვიდურესი აუცილებლობის დროს ბაზრადობა A2 ბაზრადობა

ხალხი აპროტასტებს კრიმინალის კოლიციულზე ბაცვლას

სახელმწიფო მინისტრი კი ამას გაცვლად არ მიიჩნევს

ენო ბოგარტაძე

პატიოსან ქართველ პოლიციელებს კრიმინალურზე არ გაცვლით - ასეთი იყო საქართველოს პრეზიდენტის და ძალადუხობის უწყებების ხელმძღვანელების მკაცრი განცხადებები ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში არსებული ვითარებასთან დაკავშირებით. მაგრამ, ხელისუფლებამ დაპირება არ შეასრულა, კრიმინალის პოლიციელებზე გაცვლა მინც მოხდება...

შერეული საკონტროლო კომისიის მიერ ორშაბათს ღამით მიღებული გადაწყვეტილების შედეგად, გუშინ ერედვის პოლიციის ქვედანაყოფების უფროსი ლადო ჩალაური ექსპლიანის ტყვეობის შემდეგ ცხინვალის იზოლაციონიდან გაათავისუფლეს. სანაცვლოდ, მისმა ნათესავებმა ორი ოსი მიქვალი გაუშვეს. მაგრამ, ყველაფერი ამით არ მთავრდება, მხარეთა შეთანხმების თანხმად, ორი ქართველის მკვლელობაში ეჭვმიტანილი ალი ფუხავეი, რომელიც შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს, ქართულმა მხარემ უნდა გაათავისუფლოს.

შეთანხმებას ქართული მხრიდან საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების დარეგულირების საკითხში გოგა ხაინდრავა აწერს ხელს. ფუხავეს კონფლიქტის ზონაში განლაგებული შერეული სამშვიდობო ძალების შტაბის იზოლაციონში გადაიყვანენ და მისი საქმის გამომიხედავნი, ცხინვალის პროკურატურასთან ერთად, ქართველი სამართალდამცვეები, ეუროსა და სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები ჩაერთვებიან.

ბაზრადობა A2 ბაზრადობა

“ევროპის ქავირი საქართველოს მთავარი მიჯნა”

25 იანვარს სტრასბურგში, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და უკრაინის პრეზიდენტის ვიქტორ იუშენკოს პატივსაცემად, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის სახელით, ოფიციალური მიღება გაიმართა, რის შემდეგაც საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტებმა ვარდებისა და ნარინჯისფერი რევოლუციებისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა გახსნეს. ამ გამოფენის მიმართ საზოგადოების დაინტერესება საკმაოდ დიდი იყო. მას უამრავი სტუმარი ჰყავდა, მათ შორის, ევროსაბჭოს ახალი პრეზიდენტი რენე ვან დერ ლინდენი და გენერალური მდივანი ტერი დევისი. როგორც ტერი დევისმა აღნიშნა, ვარდებისა და ნარინჯისფერი რევოლუციები იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ ორივე უსისხლოდ დასრულდა. რევოლუციების მნიშვნელობაზე, სახელდახელოდ გამართულ ბრიფინგზე, საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტებმაც ისაუბრეს.


ბაზრადობა A3 ბაზრადობა

ბუშის ახალი დოქტრინა

ჯორჯ სოროსი

პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა თავის მეორე საინაუგურაციო სიტყვაში, მთელ მსოფლიოში თავისუფლებისთვის ბრძოლაში ამერიკას ამბიციური როლი დააკისრა, რითიც უახლოესი ოთხი წლის მანძილზე აშშ-ს საგარეოპოლიტიკურ კურსთან დაკავშირებით საკმაოდ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. აქედან გამომდინარე, ბუშის გამოსვლაში გამოთქმული მოსაზრებები სერიოზულ განხილვას იმსახურებს.

“ყველა ქვეყანაში დემოკრატიული მოძრაობისა და ინსტიტუტების ხელშეწყობა აშშ-ს პოლიტიკა იქნება, - განაცხადა ბუშმა, - ხოლო მისი საბოლოო მიზანი - მსოფლიოში ტირანიის დამარცხება.” ალბათ დიპლომატიისადმი ხარკი იყო იმის განცხადება, რომ ამ მისიის განხორციელება “ძირითადად, არაპალა-დობრივ მეთოდებს მოითხოვს, თუმცა, ჩვენ, სადაც აუცილებელი შეიქმნება, ჩვენს მეგობრებსა და საკუთარ თავს იარაღის ძალითაც დავიცავთ.” ამასთანავე, ბუში აღიარებს, რომ ვინმესთვის თავისუფლების გარედან თავსმოხვევა შეუძლებელია. იგი თვლის, რომ “თავი-



სუფლება, თავისი ბუნებით, არჩეული და დაცული მოქალაქეთა მიერ უნდა იყოს, ხოლო კანონის უზენაესობითა და უმცირესობათა უფლებების დაცვით გარანტირებული.” დაბოლოს, მასში განსხვავებათა აღიარებაცაა, რადგანაც “როცა ერის სული ბოლოს და ბოლოს ალაპარაკდება, წარ-

მოქმნილი ინსტიტუტები, შესაძლოა, ისეთ ჩვეულებებსა და ტრადიციებსაც ასახავდნენ, რომლებიც ჩვენი მახასიათებლებიდან ძალიან განსხვავდება. ამერიკა არ ეცდება თავისი მმართველობის სტილის თავსმოხვევას მათთვის, ვისაც ეს არ უნდა.

ბაზრადობა A5 ბაზრადობა

ხალხი აპროტასტებს კრიმინალის კოლიცილზე გაცვლას

პროკლე ბაქრაძის განცხადებით, "სრულებით არ არის გაცვლა", იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ "ჩალაური სახლშია, ფუხავეი კი იზოლატორში იჯდება."

"ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების შერეული საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილება არ გაუქმდება, რადგან ის მიღებულია და, შედეგად, გათავისუფლებულია ჩალაური. ვფიქრობ, აქციის მონაწილეები საკმარისად ინფორმირებული არ არიან," - განაცხადა ჩვენთან საუბარში ხაინძრავამ.

თუმცა, აქვე ჩნდება ერთი დეტალი - სახელმწიფო მინისტრი მიიჩნევს, რომ საპროტესტო აქცია პროვოცირებულია "ვილაცების" მიერ.

"საერთოდ გაცხადება, საიდან მოდის და ვინ რა ქულებს ინერს ამ აქციებით. აბა, აქციის მონაწილეებისათვის რა მნიშვნელობა აქვს, თუ რომელ საგანში იზოლატორში იჯდებიან ფუხავეი. მთავარია, რომ იქნება გამოძიება და შედეგად სასამართლო პროცესი. ორთაქვლაში იჯდება, გორში თუ თელავში, ამას რა მნიშვნელობა აქვს?!" - აღნიშნავს იგი.

ხაინძრავა არ აკონკრეტებს "ქულების დამწერის" ვინაობას, თუმცა შეკითხვაზე, თუ როდის მოხდება ალიკ ფუხავეის ოსური მხარისათვის გადაცემა, იგი საკმაოდ ბუნდოვან პასუხს იძლევა: "არ არის გამორიცხული, რომ უკვე მოხდარიან."

მოსკოვი სავარაუდოდ მასპინძლობს

"სოხუმი მზად არის, თბილისთან მოლაპარაკებები დაიწყო, თუ ეს დიპლომატიური ნდობაზე იქნება აგებული და უთანხმოებები არ წარმოიშობა," - აცხადებს აფხაზეთის დე ფაქტო ლიდერთა წყვილი, რომელიც კვლავ განაგრძობს მოსკოვში ვიზიტს. გუშინ ბაგაფშა და ხაჯიმბაშა გაზთუ "არაფორმალური შეხვედრა" რედაქციებში პრესკონფერენცია გამართეს, სააკაშვილს აფხაზეთის სუვერენიტეტის აღიარება შესთავაზეს და რჩევები მისცეს...

სოფო ბაქრაძე

ბაგაფშისთვის ეს პირველი ვიზიტია მოსკოვში, პრეზიდენტის რანგში. კონკრეტულად ვის შეხვდნენ მოსკოვში ვიზიტის ფარგლებში აფხაზი ლიდერები, უცნობია. ბაგაფშა და ხაჯიმბაშა ამ ინფორმაციას საიდუმლოდ ინახავენ. რუსულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კრემლში მათ შეხვედრები არ ჰქონიათ.

ოფიციალურად ცნობილია, რომ მოსკოვის მერმა იური ლუჟკოვმა აფხაზურ ტანდემს მისალმნა და შეხვედრა დააგეგმა. ლუჟკოვმა ბაგაფშას და ხაჯიმბაშას გამარჯვებულად მილოცა და იმედს გამოთქვა, რომ "აფხაზეთის პოლიტიკა კვლავინდობურად კეთილგანწყობილი იქნება მოსკოვის მიმართ". "დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით, აქამდე მიღწეული შეთანხმებები კიდევ უფრო გაღრმავდება და ახალი იმპულსს მისცემს აფხაზეთის ეკონომიკის განვითარებას," - ნათქვამია ლუჟკოვის დეკლარაციაში.

ცხადია, შეხვედრები უნდა შედგეს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ გარკვეულ შეთანხმებებს მივალნებით. არსებობს ძალიან ბევრი შეუთანხმებელი საკითხი, ასეთ პირობებში შეხვედრა აზრს კარგავს," - აცხადებს ბაგაფში საქართველოს ხელისუფლებასთან შესაძლო დიალოგის კომპეტენციისა. მისი აზრით, "საქართველოსთან პოზიციების დაახლოება ეკონომიკური საკითხებით უნდა დაიწყო, რეგიონის ეკონომიკური განვითარება საშუალებას მოგვცავს, შევქმნათ ინფრასტრუქტურა არა მარტო აფხაზეთში, არამედ საქართველოშიც. შემდეგ უკვე შეგვიძლება, პოლიტიკურ საკითხებზე ვისაუბროთ," - აცხადებს აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი და მიხეილ სააკაშვილის მოწოდებას იმ ინტერპულარული ფაქტის აღიარებისაკენ, რომ დღეს მიუღწეველია საქართველოსთან სახელმწიფოების წარმომავლის პროცესის მიხედვით. "ასე რომ, აფხაზეთის აღიარება შეუძლებელია, როგორც მეზობელი, მეგობარი სახელმწიფოსი," - დასძინა მან.

აფხაზეთის პრობლემის გადაჭრის საქართველოში შემოქმედებულ კონცეფციის კომენტარებისას, ბაგაფშმა აღნიშნა, რომ სოხუმი ეს დოკუმენტი, ჯერჯერობით, არ უნდა ახავთ. "თუ მასალა ადეკვატური იქნება, ჩვენ მზად ვართ, გადავხედოთ თბილისის წინადადებას," - აღნიშნა მან. მისი თქმით, ამ ეტაპზე ქართველი დეველოპების დახრუნველება აფხაზეთში შეუძლებელია. აფხაზი ლიდერები საქართველოს ურჩევნებ, "ვერ თუქი-მუსხეების საკითხი მოაგვარონ და შემდეგ სხვას მიხედონ".

აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება სააკაშვილის სტრატეგიაში ვიზიტსაც გამოეხმაურა. ამასთან დაკავშირებით, აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გუშინ სპეციალური განცხადება გაავრცელა. "საქართველოსა და აფხაზეთის ურთიერთობის თანამედროვე ისტორიულ ეტაპზე აფხაზეთის აღიარება მხოლოდ

სპიკერის დაპირება - კომორში იქნება

პარლამენტი სავარაუდოდ სესიისთვის მზადებას შეუდგა

გიორგი ასანიძის

1 თებერვალს ოფიციალურად გაიხსნება პარლამენტის სავარაუდოდ სესია, 8 თებერვალს კი პირველი პლენარული სხდომა ჩატარდება. "ლენტის გაჭრამდე" რამდენიმე დღით ადრე პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე სამომავლო ვეგმეზზე საუბრობს და საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს ასახელებს.

სპიკერის თქმით, პარლამენტმა თვისებრივად უნდა გარდაქმნას თავისი საქმიანობა და მუშაობის ახალ რეჟიმში გადავიდეს. "თებერვლიდან დეპუტატები თავიანთ ფუნქციებს ისე შეასრულებენ, როგორც ამას საზოგადოება ითხოვს," - თავისი კოლეგების "გამოსწორების" პირობას იძლევა პარლამენტის თავმჯდომარე. მისი განცხადებით, დროის მოთხოვნაა, რომ სავარაუდოდ სესია შემობრუნების ნერტილი ვახდეს საკანონმდებლო ორგანოს მიღვენიანობაში.

"ამჟამინდელი მონვევის პარლამენტი ან საზოგადოდ გაიფუჭეს იმიჯს და ამით პარლამენტარების იდეის დისკრედიტაციას მოახდენს, ან საზოგადოდ აზრს თავის სასარგებლოდ შემობრუნებს," - ყოველგვარი მივიჯის ნიშნების გარეშე რეალურ სურათს წარმოაჩენს კანონმდებელთა კორპუსის ხელმძღვანელი.

ნინო ბურჯანაძის ასეთი მკვეთრი განცხადება იმ კულუარული საუბრების ფონზე კეთდება, რომლის მიხედვითაც, თითქმის, პრეზიდენტი მიხეულ სააკაშვილი პარლამენტის დათხოვნას აპირებს. სპიკერის მტკიცებით, ამ ხმების შესახებ მას არაფერი სმენია, თუმცა, მასთან დაკავშირებით კომენტარს მაინც აკეთებს: "საქართველოს პრეზიდენტი ის ადამიანი არ არის, რომელსაც არ ესმის, თუ რამდენად არასასურველია მორჩილი პარლამენტის ყოლა. ახსოვს კანონმდებელი საკანონმდებლო ორგანოს ვერც მისხალეო სააკაშვილი და ვერც მისახლოება ვერ იტანს, რადგან ეს ქვეყანას დააზარებს."

პარლამენტის შესაძლო დათხოვნის შესახებ მოარულ ხმებს, შესაძლოა, ისიც უდევს საუფლებად, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი დეპუტატების რაოდენობის შეცვრების საკანონმდებლო ინიციატივით გამოიღოს. ნინო ბურჯანაძის თქმით, ამ კანონპროექტს საკანონმდებლო ორგანო სავარაუდოდ სესიის ერთ-ერთ პირველვე სხდომაზე განიხილავს.

"დანეღებდა პარლამენტართა რაოდენობის მაქსიმალური ზღვარი, ალბათ, არაუმეტეს 150-ისა. ზუსტი რიცხვი კი კონსტიტუციონალურად განისაზღვრება."

"სააკაშვილი დრუბლებში დაფრინავს"

ყოფილი თანაგუნდელების შეფასება პრეზიდენტის ერთწლიან მოღვაწეობაზე

"საკაშვილი რეალობას მოსწონდა. იგი ღრუბლებში დაფრინავს. ინფლაცია ექვსი პროცენტით კი არა, 30 პროცენტით. სააკაშვილს ინფორმაციული ვაკუუმი ამყოფებენ," - ამ ბრალდებების ავტორები მიხილა სააკაშვილის ყოფილი თანაგუნდელები ზვიად ძიძგაური და კობა დავითაშვილი არიან. არადა, ორივე წლის წინ ასეთ სიტყვებს მიხეულ სააკაშვილი თავად წარმოთქვამდა, როდესაც დეკლარაციას მისამართებდა.

თამარ მჭედლიძის

ჩვენი ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილის გარემოცვა საკმაოდ მსაკინეულად შევება ქართველი "კონსერვატორების" გუმინდელ პრესკონფერენციას, რადგან ძიძგაურმა და დავითაშვილმა ისეთი აქტენტები დასვეს, რომელიც "ნაციონალისტ" ამკარად არ ესააშინებია.

"კონსერვატორებმა" გუშინ პრეზიდენტის ერთწლიანი საქმიანობა შეაფასეს და პრეზიდენტის ბოლო ბრძოლისაც გამოეხმაურნენ.

"მიხეილ სააკაშვილმა ამ პრინციპზე ბევრი ტყუილი და ცრუ სიმართლე თქვა," - ასეთი კონსერვატორების ვერდიქტი.

საკუთარი "განაჩენის" გასამყარებლად "კონსერვატორებმა" რამდენიმე ფაქტი მოიყვანეს: კობა დავითაშვილი: "ქვეყანაში მართლაც არის დადებითი ძვრები, მათ შორის საპატრულო პოლიციის ჩამოყალიბებაც. თუმცა პრეზიდენტმა ბევრი დაპირება არ შეასრულა. კარგია პენსიის 28 ლარამდე გაზრდა, თუმცა იგი არ გაორმაგებულა და 18-ჯერ არ ბევრად მტკბა 28-ზე. ამასთან, პენსიონერთა ყველა დაგვიანება გასტუმრებული ვერ არ არის, კერძოდ, მათ ვერ მიღეს იმდენი დეკემბრის პენსიები. პენსიონერები უკმაყოფილონი იმითაც არიან,



პარლამენტის თავმჯდომარეს გაზაფხულიდან დეპუტატების გამოსწორების იმედი აქვს.

მი მხოლოდ მას შემდეგ ჩაინერგა, როდესაც ქვეყნის ტერიტორიული მონვეობის საკითხი გადაწყდება," - აცხადებს პარლამენტის სპიკერი, რომელიც იქვე იმასაც დასძენს, რომ პირადად ის ორპალატიანი პარლამენტის შექმნის წინააღმდეგია.

ნინო ბურჯანაძე ხალხის რჩევების ნაკლოვან მხარეებზეც საუბრობს. სპიკერი განსაკუთრებით გამოყოფს სხდომებზე პარლამენტარების დასწრებისა და, შესაბამისად, კვორუმის პრობლემას, რაც, ბურჯანაძის თქმით, "საზოგადოებისა და მასმედიის მხრიდან მუდმივი ირონიის თემაა".

პარლამენტის თავმჯდომარე იმედოვნებს, რომ "დასრულებიან და კვორუმთან დაკავშირებული პრობლემები თებერვლიდან აღარ იარსებებს".

ბოლო პერიოდში პარლამენტის იმიჯშიც აკრიტიკებდნენ, რომ მან, ერთი სესიის განმავლობაში, 80-მდე კანონის მიღება მოახერხა.

"კანონების ფორსირებულად მიღება, ძირითადად, ფორს-მაჟორული მდგომარეობით იყო გამოწვეული. მომავალში ასე გავრძელებთ დაუშვებელია. ამერიიდან კანონმდებლების ხარისხის გაუმჯობესებაზე უნდა ვიფიქროთ," - აღნიშნავს ბურჯანაძე. იგი, ასევე, აუცილებლად მიიჩნევს პარლამენტის საზედადმედელო ფუნქციების რეალურად განხორციელებას. გაზაფხულიდან ნინო ბურჯანაძე რეგიონების თავისებობებს, რათა საკუთარი ვალდებულებები, თუ როგორ სრულდება კანონები.

სავარაუდოდ სესიის პერიოდში პარლამენტის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს და ნინო ბურჯანაძე ასახელებს: მიღვენიანი კანონების მალად "ხარისხის" კონფლიქტების დარეგულირების საკითხში აქტიურ ჩაბმას; სასამართლო ხელისუფლების გაძლიერებას, რეალური თვითმმართველობისთვის საკანონმდებლო საფუძვლები

საქართველო რუსეთთან დასესილია

რუსეთთან დასესილია

ნიკა მარიაშიძე

საქართველო რუსეთთან დასესილია 100 მეგავატი ელექტროენერჯის მიღებას. ამის თაობაზე შეთანხმებას მოსკოვში, "რაო ვეს რუსიის" სათავე ოფისში საქართველოს ენერჯეტის მინისტრმა ნიკა გვილოურმა მიიღო.

დღემდე საქართველოს რუსეთთან 500-კოლოვოლტანი ელექტროგადამცემი ხაზის "კავკასიონის" მეშვეობით 335 მეგავატი სიმძლავრის დენი შემოჰქონდა. დამატებითი სიმძლავრე საქართველოს 1 მარტიდან, "ენერჯის" რემონტის პერიოდში დასჭირდება, მანამდე კი იმ დღეებშიც შეავსებს, რომელიც თბილისის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მესამე ენერჯეტოლოკის გაუმართაობამ განაპირობა. როგორც ენერჯეტოლოკები ვარაუდობენ, ბოლო 10 თებერვლისთვის ამოქმედდება.

ამასობაში კი, ქვეყნის მასშტაბით ელექტრომომარაგების მხრივ სერიოზული პრობლემებია. ელექტროენერჯის მოთხოვნი ზუგდიდელბა გუმინდელი ლამე ქუჩაში გაათენეს. მათი მულეგარების მიზეზად, ტრადიციულად, თვეები მისძლავს გაგრძელებული უდენობა და უწყვეტი იქცა. "რუსულ-ლიტუი საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე სამი თვეა, დენი არ მოსულა. მალე ანტისანტარისის გამო, შესაძლოა, ეპიდემია განხდეს. დენი თუ არა, წყალი მაინც მოგვცენ," - აცხადებდნენ გუშინ აქციის მონაწილეები, თუმცა რეგიონში წყლით მომარაგების პრობლემაც ისევ და ისევ ელექტრომომარაგების თემატიკას უკავშირდება. როგორც რეგიონების ოპერატორი "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერჯიკომპანიის" წარმომადგენლები განმარტავენ, ელექტროენერჯის გათიშვის მიზეზი დენის საფუარის ოთხი თვის დაღალბებაა.

უკმაყოფილოა მცხეთა-მთიანეთის მოსახლეობაც, რომლებსაც ძლიერი ქარი გამომწვეული ავარიების გამო ელექტროენერჯია არ მიწოდება. ამ რეგიონში დენის გარეშე 12 500 აბონენტია დაზარებული. "დაზიანებულია მაღალი და დაბალი ძაბვის გადამცემი ხაზები. ანტიბის წაქცევის გამო ავარიულად გამოირთი კომპანიის მცხეთა-მთიანეთის ფილიალის 25 ფიდარი, რის გამოც ელექტროენერჯის მიწოდება 12 ათას აბონენტს შეუწყდა. განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა თბილისის-ზაგისის და მცხეთა-მთიანეთის ცენტრებში, სადაც ქართი გამომწვეული ავარიების გამო ელექტროენერჯის გარეშე 8200 აბონენტია დაზარებული," - განმარტავენ "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერჯიკომპანიის". აქ აღნიშნავენ, რომ კომპანიის მცხეთა-მთიანეთის ფილიალის ენერჯეტოლოკის მოსახური საავადმყოფო ვითარებაში მუშაობს და კონკრეტული დაზიანების აღმოჩენას ცდილობს. დღინდელ ქართი გამომწვეული ზარლის ოდენობაც.

სოკლად

საქართველოში "პირველი რეგულირება ახვება"

პრეზიდენტი სააკაშვილის კრიტიკის მიუხედავად, სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ედუარდ კოკოიის პირადი წარმომადგენელი ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებაში ვაჟა ხაჭაპურიძე "საქართველოს პრეზიდენტისა და ქართველი ხალხის ღირსების ერთგულ დამცველად რჩება."

"მიხეილ სააკაშვილს ჩემ მიმართ ბრალდებები და შეურაცხყოფა არ უნდა ეკადრებინა. პრეზიდენტის განცხადებებმა საკმარისზე მეტად გამაღიზიანა, თუმცა მისი და ქართველი ხალხის გვერდით დგომას, მათი ინტერესებისა და ღირსების დაცვას მომავალშიც ვაგაგრძელებ," - განაცხადა ვაჟა ხაჭაპურიძემ პრეზიდენტ სააკაშვილის გუმინდელ ბრალდებების კომენტარებისას.

ხაჭაპურიძის მტკიცებით, იგი სამხრეთ ოსეთში არა იმისთვის მოღვაწეობს, რომ საქართველოს ხელისუფლებას ებრძოდეს, არამედ იმისთვის, რომ "ქართულ-ოსური ურთიერთობები ალაღვიოს" და "თუ ვინმე მის საქმიანობას სხვაგვარად აფასებს, ეს მის სინდისზე უნდა იყოს."

ხაჭაპურიძემ კვლავ დაადასტურა გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მას შიდა ქართული პრეზიდენტის რწმუნებულად დანიშნა შესაფერისა. "ჩემთვის უცნობია, რატომ შეცვალა პრეზიდენტმა სააკაშვილმა ეს გადაწყვეტილება," - აღნიშნა მან. ინტერ-პრესი

ორი სიტყვით

თბილისი. საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციიდან ერთი წლის თავზე "ლიბერალისტული პარტიის" ლიდერი შალვა აბაიშვილი თბილისში სააკაშვილს კვლავ დაეპირა: "რუსეთთან დაკავშირებული ურთიერთობები უნდა დადგინდეს, თუმცა დაფრინებულია, რომ ეს გამორჩეული ფაქტი სიმართლეს შეესაბამება."

მთავარი რედაქტორი მამუკა ფარუაშვილი. პაატა ვეშაბიძე (მხარველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (ტექნიკური დირექტორი), ირაკლი ლევიანი (მარკეტინგის მენეჯერი). დირექტორი: გიორგი ხმაღაძე. ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მანა ჯიბაშვილი, დიმიტრი პოლუტაშკინი, გიორგი ბერიშვილი, თენგიზ ქარია, პაპაძე ქორიძე, ლელა ნიჭიბერიძე, სტილი: ნანა ჯიბაშვილი, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიბერიძე, მძიმე ძნელაძე, ლია თოფურია. რედაქცია - ზურაბ ჯაფარიძე.

"ევროპის კავშირი საქართველოს მთავარი მიზანია"

პირველი პარტიული

მიხეილ სააკაშვილს მიანიჭა, რომ ასამბლეაზე მისი და იუმენკოს ერთად მიწვევა შემთხვევითი არ ყოფილა. "ევროპის საბჭო, როგორც წესი, სესიაზე მხოლოდ ერთ პრეზიდენტს პატივებს, ორი პრეზიდენტის მოწვევა იმას ნიშნავს, რომ ამ საპარლამენტო ორგანოს საქართველოს მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს, - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა შურნალისტებთან საუბრისას, - ევროკავშირში შესასვლელად ქვეყნის შიგნით სხვა დონე გვეჭირდება ამისათვის საგანგებოდ უნდა მოვემზადოთ. შემდეგ არა აქ, სტრასბურგში, არამედ ბრიუსელში, ევროკავშირში უნდა შევხვდეთ. ევროპის კავშირი საქართველოს მთავარი მიზანია."



იუმენკოს დეპუტატი საპარლამენტო ასამბლეაზე

იმავე დღეს ვიქტორ იუმენკო საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე სიტყვით გამოვიდა. მან ევროპარლამენტის წევრებს მიმართ რეგულაციის მხარდაჭერისათვის, მაგალითად გადაუხადა. უკრაინის პრე-

ზიდენტის გამოსვლა 20 წუთს გაგრძელდა, რის შემდეგაც, მან დამსწრეთა შეკითხვებს უპასუხა. პირველი კითხვა საქართველოს მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელმა მათიას იორშმა დასვა და უკრაინაში

ქართველი ურნალისტის გიორგი ლონდაის მკვლელობის გამოძიებით დაინტერესდა. "ჩვენი მიზანია, რომ ამ პრობლემას ნერტილი დავუხსნათ, - განაცხადა ვიქტორ იუმენკომ, - მე დაკისრებული მაქვს

პოლიტიკური პასუხისმგებლობა, რომ ეს საქმე უმოკლეს ვადაში საპარლამენტო ასამბლეაზე მივიღებ."

26 იანვარს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე სიტყვით გამოვიდა, სადაც სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებასთან დაკავშირებით, ახალ წინადადებებს წამოაყენებს. მან მასმედიის წარმომადგენლებთან ამ საკითხზე წინასწარი კომენტარი გააკეთა და განაცხადა: "ჩვენ მზად ვართ, დავიწყოთ მოლაპარაკება... საქართველო მშვიდობიანი ქვეყანაა და ძალადობრივ ქმედებებს არ განვიხილავთ."

მიხეილ სააკაშვილმა ისიც აღნიშნა, რომ ამ დღემის განხორციელება მხოლოდ თითოეული დამამინის უფლებების სრული დაცვით არის შესაძლებელი.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

სუსტი, მებრამ საუკეთესო

პირველი პარტიული

მოხილვებულის, მაგრამ შემდეგ, ყოველდღიურობაში, პასიურად ხდება და შეუძლია, ასე უქმად იყოს მანამ, სანამ ისევე კრიტიკულ, უკიდურეს გარემოში არ აღმოჩნდება. ერთი სიტყვით, ორგანიზებული არ არის, არათანამიმდევრული, სპონტანური."

არასამთავრობო ორგანიზაცია "სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის" გამგეობის თავმჯდომარე ვაჟა სალამაძე შექმნილ ვითარებას ცოტა სხვაგვარად აფასებს. მისი თქმით, საქმეა ოდ ბუნებრივი და ჯანსაღი მოვლენაა, რომ რევოლუციური ფაზის დასრულების შემდეგ, მშვიდობიან პირობებში სამოქალაქო აქტიურობა შესუსტდება. უფრო სწორად, ეს აქტიურობა სხვა ფაზაში გადავიდა. როგორც სალამაძე განმარტავს, სტრუქტურირებული არასამთავრობო ორგანიზაციების პარალელურად მოქმედი ინტერესთა ჯგუფები, სხვადასხვა სფეროებში "გადამისამართდნენ." მაგალითად, "კმა-რა" და სხვა არაფორმალური ახალგაზრდული დაჯგუფებები ახლა ადამიანის უფლებების დაცვის და კანონის უზენაესობის კუთხით მუშაობენ. ვაჟა სალამაძის აზრით, დღეს საზოგადოების აქტიურობა "მოლოდინის ფაზაში" იმყოფება: "ხალხი ხელისუფლებისგან კონკრეტულ ნაბიჯებს ელოდება. იქიდან გამომდინარე, თუ რას მოიპოვებდეს ხელისუფლება, საზოგადოების რეაქცია იდენტური იქნება."

დათო ტურაშვილი და თემურ ჯალაღავალი (და არამხოლოდ ისინი) სამოქალაქო საზოგადოების სისუსტედ და მისი განვითარების ხელშეწყობის ერთ-ერთ მასშტაბად აღიარებენ. "მოლოდინის მდგომარეობას" მიიჩნევენ. "რევოლუციის შემდეგ საზოგადოება ისევ "იქ", ძველ მდგომარეობაში დაბრუნდა, იგი ფიქრობს: ან ჩემ გარემოცვა ყველაფერი კარგად იქნება, მე დაველოდები, ისინი გადაწყვეტენ, ისინი გვეკვიანები არიან," - შენიშნა ავსტრიელი ჟურნალისტი, რომელიც ახლახან საქართველოში იმყოფებოდა.

რა დამოკიდებულებაში იმყოფება ხელისუფლება სამოქალაქო საზოგადოებასთან, რა შეუძლია ხელისუფლებას ამ შემთხვევაში - ხელის შეწყობა, ხელის შეშლა თუ ორივე ერთად? ვაჟა სალამაძის პასუხი ასეთია: "არსებითი გავლენის მოხდენა ხელისუფლებას არ შეუძლია (ჩვენ შემთხვევაში დიქტატურას, თავისთავად, გამოვრიტავთ). თუმცა, გარკვეული ფორმით, ელექტრონულ მედიას პრობლემები აქვს. ეს არ არის პირდაპირი ფორმით გავლენა, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს ტელევიზიები მოსაწყენი გახდა."

სულ სხვაგვარად ფიქრობს ფსიქოლოგი შოთა ნადირაშვილი, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში, საქართველოს, როგორც ევროპისა და აზიის გასაყარზე მდგარი ქვეყნის, თავისებურებების გათვალისწინებას მნიშვნელოვნად მიიჩნევს: "ხელისუფლება დიდი სტიმულია, რომელიც საზოგადოების ჩამოყალიბებას მიმართულებას აძლევს. არ დაიჯეროთ დებულება - როგორი ხალხიცაა, ისეთი ხელისუფლება ხშირად ძალით მოდის, ხშირად - სხვადასხვა პიარების საშუალებით. და როგორი ხელისუფლებაა მოდის, ხალხიც ისეთივე ხდება. დღეს ჩვენმა ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს როგორც დროის მოთხოვნები, ისე ერის, ჩვენი კულტურის თავისებურებანი და

ყველაფერი ამის გაერთიანება მოახერხოს. ეს მხოლოდ ხელისუფლებას შეუძლია."

ქართულ სამოქალაქო საზოგადოებაში ყველაზე უფრო განვითარებული მისი ინსტიტუციონალური ნაწილია. არასამთავრობო ორგანიზაციები სამოქალაქო სექტორში წამყვან ძალას წარმოადგენენ. ვაჟა სალამაძემ ჩვენთან საუბარში თვითმმართველობის საკითხიც დააყენა. თუ თვითმმართველობას სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთ შემადგენელ კომპონენტად მივიჩნევთ, მაშინ საქმე არც ისე საბარბილოდ ვაქვს. "საზოგადოებაში უფრო კიდევ ვერ გაცნობიერდა თვითმმართველობის მნიშვნელობა. თვითმმართველობა მისთვის გამგებელია, რომელმაც ფული უნდა აკეთოს. არაფერს ვამბობ ხელისუფლების მიერ საკანონმდებლო უზრუნველყოფის პრობლემაზე," - შენიშნა სალამაძე.

ქვეყანაში, სადაც სამოქალაქო საზოგადოება ჩამოყალიბების პროცესში იმყოფება, საეკონომიკური ბუნებრივია, რომ ერთმანეთის გვერდით უამრავი ნეგატიური და, იმავედროულად, იმედის მომცემი მაგალითი მოგვეპოვება. აქედან გამომდინარე, ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხზე შევსებები ზოგჯერ რადიკალურად განსხვავებულია: "მოსამართლეები თავის სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდნენ, კანონმდებლები ხომ ვერ აღმოჩნდნენ და ვერ აღმოჩნდნენ, პოლიტიკოსებმა ძალიან შეირცხვინეს თავი, მიუხედავად ამისა, ერთადერთმა საზოგადოებამ ალიარა კანონის უზენაესობა. იგი მიხვდა, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობები მხოლოდ კანონის უზენაესობა უნდა დაეფუძნოს. საზოგადოებამ კლანური და კორუპციული სისტემა უარყო," - ეს ადვოკატი ლია მუხამაშვილის მოსაზრებაა. სრულიად განსხვავებულ პოზიციას გამოთქვამს ვაჟა სალამაძე: "საზოგადოებამ უნდა ისწავლოს კანონის, ადამიანის უფლებების დაცვა. ამ მხრივ სერიოზული პრობლემები ვაქვს. კანონმორჩილება ჩვენი საზოგადოებისთვის განსაკუთრებულ ღირებულებას არ წარმოადგენს."

ასეა თუ ისე, შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო საზოგადოება სუსტია, მაგრამ, რაც მთავარია, ვითარდება. "მიუხედავად ამისა, ამ მხრივ სერიოზული პრობლემა სერიოზულად არსებობს, როგორც პოლიტიკაში, ასევე სამოქალაქო ნაწილში, მე მაინც ოპტიმისტურად ვარ განწყობილი," - ასეთ დასკვნას აკეთებს ლევან ბერძენიშვილი. ვანარჩენი რესპონდენტებიც იმედინად გამოიყურებიან. მეტიც, უმრავლესობა აღიარებს, რომ "სამოქალაქო საზოგადოება არის ერთადერთი მონაპოვარი, რაც კი ქართველებს 21-ე საუკუნეში მოგვეპოვება." ბერძენიშვილის აზრით, სამოქალაქო სექტორს ახლა უფრო სერიოზული ამოცანები აქვს, ვიდრე ოდესმე ჰქონია: "მოლაპარაკე თავების დრო წავიდა, ახლა მთავარია საქმე."

სამოქალაქო საზოგადოება, განსაკუთრებით კი - არასამთავრობო ორგანიზაციები, გრძნობენ ამ პასუხისმგებლობას. ცოცხალი, ნათელი მაგალითიც მოგვეპოვება: ახალგაზრდა ორის-ენლოვნად მიიჩნევა: "ხელისუფლება დიდი სტიმულია, რომელიც საზოგადოების ჩამოყალიბებას მიმართულებას აძლევს. არ დაიჯეროთ დებულება - როგორი ხალხიცაა, ისეთი ხელისუფლება ხშირად ძალით მოდის, ხშირად - სხვადასხვა პიარების საშუალებით. და როგორი ხელისუფლებაა მოდის, ხალხიც ისეთივე ხდება. დღეს ჩვენმა ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს როგორც დროის მოთხოვნები, ისე ერის, ჩვენი კულტურის თავისებურებანი და

ფოტო-რეპორტაჟები რადიო მწვენი ტალღის სპულიდან

რადიო მწვენი ტალღის ეთერში 107.4 ყოველ სამშაბათს და შაბათს 11-დან 12 საათამდე უსმინეთ გადაცემას დილის ხასამართლო, გაგახმართლო სხვადასხვა მოვლენები, ისტორიული პირები და ლიტერატურული პერსონაჟები. გამოიგანეთ თქვენი ვერდიქტი, რადგანაც 12 საუცი მსმენელი იქნებით თქვენ.

თბილისელმა მერის სტრატეგია მოიწონეს



ბანისაშვილი - თბილისის მერია და ქალაქის განვითარების პოლიტიკა

ბრალდებულები - სოთი ალფრედო, პრეზიდენტი: ახალი ხელისუფლების მიერ განხორციელებული პროექტები არ არის დამატებული ხიბობით, კვლევების და არ თბილისის ხანობაში უნდა იქნებოდა. განხორციელებული პროექტები აღმოჩნდა პრობლემატური (სამკონსტრუქციო და მხარდაჭერის ქსელი) და შესაბამისად, მთელი საქართველოზე ხელისუფლების ერთობა ყველგან უნდა იქნებოდა. სამხრეთში, რომელიც ხელისუფლებამ დაიკავა, ხელისუფლებამ დაიკავა, ხელისუფლებამ დაიკავა.

პლუსები - შერის ჯანდაცვის მინისტრის მერია დაქვის მხარე თბილისის ქალაქში პროექტების განხორციელება. ვერ განხორციელდა პროექტების განხორციელება. ვერ განხორციელდა პროექტების განხორციელება. ვერ განხორციელდა პროექტების განხორციელება.

ბრალდება - ბრალდების მხარე ქალაქის ხელისუფლების ადამიანურ ღირსებას ხაზს უსვამს. ბრალდების მხარე ქალაქის ხელისუფლების ადამიანურ ღირსებას ხაზს უსვამს.

ბრალდებულები - თბილისის მერიის დაქვის მხარე ადამიანური ხასხელი და დავალობის პროექტების ხაზის ეგამე ხანობაში განხორციელდა.

პლუსები - ნაყოფი მხარე უნდა, ერთი და იმავე, მერია განხორციელდა (11 ხმა ერთი წინააღმდეგ, როგორც ბრალდების, ასევე დავის მხარე აღიარებდა, რომ ქალაქის ხელისუფლების ხაზის ეგამე ხანობაში განხორციელდა). შესაბამისად, ხანობაში აღიარდა:



1. თბილისის მერიის მოქმედების ქალაქის განვითარების ჩამოყალიბება და ეგამე ხანობაში განხორციელდა. 2. და ეგამე ხანობაში განხორციელდა. 3. და ეგამე ხანობაში განხორციელდა. 4. და ეგამე ხანობაში განხორციელდა. 5. და ეგამე ხანობაში განხორციელდა. 6. და ეგამე ხანობაში განხორციელდა.

12 ნაშრომის მსმენელი:

1. რამდენჯერ უნდა	აქვს	7. დიდი ხანი დაივიწყებინა	აქვს
2. მისი მსმენელი	არა აქვს	8. დიდი ხანი დაივიწყებინა	აქვს
3. ხედავს ირანში	აქვს	9. ომის პერიოდი	აქვს
4. მარტო ნაკლებად	აქვს	10. ვერ სწავლიდა	აქვს
5. სოთი წყობილი	აქვს	11. დიდი ხანი დაივიწყებინა	აქვს
6. ნაყოფი ვერ განხორციელდა	აქვს	12. სოთი ვერ განხორციელდა	აქვს



საქართველოს ტელეკომი

TELECOM GEORGIA

8-10

ტარიფი ყველგან ერთნაირია, აირჩიე ხარისხი

საქართველოს ტელეკომი

ნამოზირი დამრგვალება

უსწრაფესი კავშირი

საუკეთესო სერვისი

ევროპა - 70 თეთრი

აზრ - 50 თეთრი

რუსეთი - 50 თეთრი

თბილისი, რუსთაველის 31

ტელ. 99 91 97

www.telecom.ge

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ახალი პრეზიდენტი

ჟაკსი

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ახალი პრეზიდენტი ჟაკსი. საპარლამენტო ასამბლეის წევრებმა ასამბლეის ახალ პრეზიდენტად ერთი წლის ვადით რენე ვან დერ ლინდენი ერთხმად აირჩიეს. მან ამ თანამდებობაზე პიტერ შიდერი შეცვალა და 1949 წელს შექმნილი ასამბლეის რიგით 23-ე პრეზიდენტი გახდა.

ახალი პრეზიდენტის განცხადებით, მის პრიორიტეტებს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის რანგში სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო ურთიერთობის გამყარება წარმოადგენს. რენე ვან დერ ლინდენმა ევროკავშირს ევროპის საბჭოსთან და მის წევრ 46 ქვეყანასთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობისკენ მოუწოდა, რამაც ევროპის სამეზობლო პოლიტიკა შეიძლება უფრო ეფექტური გახდეს. ინტერ-პრესი

ანტისემიტობი - რუსეთის ერთ-ერთი პრობლემა

ხათუნა ბაჩიანი

ადამიანის უფლებების მოსკოვის ბიუროს ანგარიშში მოცემული ცნობების თანახმად, რუსეთის ფედერაციაში დაახლოებით 50 000 "სქინჰედი" "მოლვანეობს". მკვირალა სახელწოდებების მქონე დაჯგუფებები - "Blood & Honour", "რუსული მიზანი", "გაერთიანებული ბრიგადები-88", "მოსკოვის სქინლეგიონი" - კარგი ორგანიზებულიობითა და ცხოვრების მარტივი იდეოლოგიით ხასიათდებიან. მათ საქმიანობას გასულ წელს, რუს სამართალდამცავთა მონაცემებით, 44 ადამიანის სიცოცხლე შეენარა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ხელისუფლება სხვადასხვა სოციოლოგიური სამსახურის მიერ "სქინჰედების" მოქმედებების შეფასებას გადაჭარბებულს უწოდებს, ანტისემიტობის პრობლემა მაინც რეალურ საფრთხედ რჩება.

რუსეთში ე.წ. სქინჰედების აქტიურობას გაზრთებში გამოქვეყნებული პუბლიკაციებიც ერთგვის თან. ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე გაზეთ "რუს პრავოსლავნაია"-ში რუსული ერთობის წარმომადგენლების გენეროკურორისადმი გამოქვეყნებულ მიმართვას ეხება, რამაც მოსკოვში ისრაელის საელჩოს პროტესტი გამოიწვია. აღნიშნულ მიმართვას ისრაელის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა "ანტისემიტობის კლასიკური მაგალითი" უწოდეს და რუსეთის ხელისუფლებას ანტისემიტობისა და ქსენოფობიის ყოველგვარ გამოვლინებასთან ბრძოლის გამკაცრებული ზომებისაკენ მოუწოდეს. "ებრაული ბედნიერება, რუსული ცრემლები..." სათაურით გამოქვე-



გამონწევას, რომელსაც ბახუბი ებრაელები შეიქმნა

ყნებულ რეაქციულ სტატიაში "ებრაული ნაციონალიზმითა და რელიგიური ექსტრემიზმით" დამფრთხალი რუსული ერთობის წარმო-

მადგენლები, რელიგიურ ასპექტებზე მუხრადების განხილვის პარალელურად, არც რუს ოლიგათხალი რუსული ერთობის წარმო-

დორკოვსკი) ივინებენ. ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ მიმართვას, რომელიც დახლოებით 500 ხელმოწერილი ბოლოვდება, სახელმწიფო სათათბიროს 19 დეკლარაციის ხელმოწერაც ამჟღავნებს. "მიმართვაში მოცემული თეზისები მთლიან მსოფლიო ომის დროს ებრაელთა მასობრივი განადგურების განხორციელებას ნაცისტური რეჟიმის მიერ გამოიყენებოდა. ნაციზმის ბრწყინვალესი მსოფლიო ხალხთა გათავისუფლების მე-60 წლისთავზე ამგვარი პუბლიკაციის გამოქვეყნება განსაკუთრებით შემადგენელია" - მიიჩნევენ ისრაელის დიპლომატიური მისიის წარმომადგენლები.

ინფორმაციისათვის. რუსეთში ანტისემიტობის მზარდ საფრთხეზე 2005 წლის დასაწყისში აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წლიურ ანგარიშშიც იყო საუბარი. აშშ-ს საგარეოპოლიტიკური უწყებების მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით მიზანდებულ მოსხენებაში, სადაც პირველ ადგილს ანტისემიტური განწყობის მიხედვით ევროპის რამდენიმე სახელმწიფო იკავებდა, განსაკუთრებულად იყო აღნიშნული რუსეთიც. რუსეთში მომზადებული სქინჰედებისა და ულტრანაციონალისტური ორგანიზაციების გვერდით მოხსენიებული იყო რამდენიმე პარტიაც ("როდინა", კომუნისტური და ლიბერალ-დემოკრატიული პარტიები), რომლებიც ფაშისტური განცხადებების გაკეთებას სახელმწიფო სათათბიროსაც არ ერიდებოდნენ. აღნიშნულ ანგარიშზე რეაქცია რუსეთშიც არ დაყოვნა და რამდენიმე დღეში საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში ბრალდებები უარყო.

ბუმის ახალი დოქტრინა

პირველი ბაიბილიონი

ჩვენი მიზანია, დავეხმაროთ სხვა ხალხებს საკუთარი ხმის პოვნაში, თავისუფლების მიღწევასა და განვითარების საკუთარი გზის მოძიებაში".

მე სრულად ვეთანხმები ამ მიზნებს, უფრო მეტიც, მათ მივლევას ჩემი ცხოვრების უკანასკნელი თხუთმეტი წელი და რამდენიმე მილიარდი დოლარი შევწირე ჩემი ქონებიდან. თუმცა, ამავედროულად, მე კატეგორიულად არ ვეთანხმები ბუმის ადმინისტრაციას. აქ საუბარი არ არის მხოლოდ უზარმაზარ განსხვავებაზე ოფიციალურ განცხადებებსა და რეალურ ქმედებებს შორის, მე შევხვები, რომ სიტყვები, ორულის დემაგოგიის მსგავსად, აშკარა წინააღმდეგობაშია საქმეებთან.

ტერორიზთან ბრძოლა ბუმის ერაყში შეჭრისთვის გამოიყენა. მას შემდეგ, რაც ერაყში ვერც მასობრივი განადგურების იარაღი და ვერც ერაყსა და "ალ კაიდას" შორის კავშირები ვერ იქნა აღმოჩენილი, ბუმმა განაცხადა, რომ ერაყში შეჭრის მიზეზი დემოკრატიის დამყარება იყო. დღეს კი, ერაყის არჩევნები, შესაძლოა, შიიტურ-ქურთულ ხელისუფლებას და სხუდურ მემბოხებს შორის სამოქალაქო ომში გადაიზარდოს.

ერაყშიც და მის გარეშეც ვართავ ბუმის სიტყვებს - "თავისუფლება იზიგებებს" - ისე იგებენ, როგორც სიტყვებს "გამარჯვება ამერიკას დარჩება". ამან ქვეყნში დააყენა ამერიკული მოტივები და აშშ-ს მორალური ავტორიტეტი, რომელიც მას ერთ დროს გააჩნდა, როდესაც სხვა ქვეყნების საქმეებში ერეოდა. თუ დღეს, ამერიკა, მაგალითად, ირანული სტრუქტურების მხარდაჭერის მონღღებით გამოვა (რომლებიც გულწრფელად იბრძვიან თავის ქვეყანაში თავისუფლებისათვის), აშშ-ს მხარდაჭერით, სავარაუდოდ, ხელისუფლებაში მყოფი რადიკალების მხრიდან მათ უფრო მეტი საფრთხე შეექმნება.

იმისთვის, რომ ავსხნათ, რა არის არასწორი ბუმის დოქტრინაში, ღია საზოგადოების კონცეფციასთან მიზრუნება მომიწევს. სწორედ ამ კონცეფციით ვხელობდვარდებოდი მთელ მსოფლიოში თავისუფლების გაერცხლებისას. მთელ საქმიანობას ადგილობრივი მოქალაქეების მიერ შექმნილი ფონდები ახორციელებენ, რომლებმაც კარგად იციან თავიანთ ქვეყანაში შესაძლებელი ზღვარი. იშვიათად, როცა რეესისოული რეჟიმი ჩვენს ფონდს ქვეყნიდან აძევებს (როგორც ბელორუსსა და უზბეკეთში) და გარედან განვაგრძობთ მუშაობას.

პარადოქსულია, მსოფლიოში ყველაზე წარმატებული ღია საზოგადოება - აშშ სრულად ვერ იგებს ღია საზოგადოების ძირითად პრინციპებს: უფრო მეტიც, აშშ-ს ამჟამინდელი ხელმძღვანელობა მათი კონცეფციის იგნორირებს. ღია საზოგადოების კონცეფცია იმ ფაქტის აღიარებას ეფუძნება, რომ ვერაფერი იქნება აბსოლუტური სიმართლის მატარებელი. საპარისპირო პრეტენზიებს რეპრესიებამდე მივ-

ყავართ. ერთი სიტყვით, შეუცდომელი არავინაა.

სწორედ ასეთი შესაძლებლობის აღიარებაზე აშშ-ის ბუმი უარს, და ეს მისი უარი ამერიკული საზოგადოების დიდ ნაწილში მოწონებით სარგებლობს. მეორე, ასევე მნიშვნელოვანი ნაწილი მოკმა. ამან არა მარტო ამერიკული საზოგადოების გახლენამდე, არამედ აშშ-სა და მსოფლიოს დანარჩენ სახელმწიფოებს შორის აზრთა სხვაობამდეც მიგვიყვანა, რომელთაც ჩვენი პოლიტიკა თვითნებოდ და დესპოტიზმად ეჩვენებათ.

პრეზიდენტი ბუმი თავის ხელმეორედ არჩევას სწორედ ამ პოლიტიკის მხარდაჭერად აღიქვამს, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მის გამორდებულ აქტებს. "პასუხისმგებლობის მომენტი" გავიდა - თვლის იგი და მზადაა, მთელ მსოფლიოში ტრანანისთან ბრძოლა მისი პრინციპების შესაბამისად განაგრძოს.

მაგრამ, არ უნდა დაგვავინყდეს კრიტიკული მომენტი, რომელიც ღია საზოგადოების საფუძვლებში ძვეს და რომელზეც აშშ 2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგედიაში 18 თვის განმავლობაში უარს ამბობდა. თვითკრიტიკის არარსებობა იყო, რამაც ამერიკა ერაყულ "ჭაობში" ჩაითრია.

ღია საზოგადოების კონცეფციაში უკეთ ვარკვევა თავისუფლებისა და დემოკრატიის გავრცელებისა და ამერიკული ღირებულებების და ინტერესების დაცვას შორის სხვაობის გავლენას მოითხოვს. თუ მთავარი მიზანი თავისუფლება და დემოკრატიაა, მათი მიღწევა მხოლოდ საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ინსტიტუტების გაძლიერებით შეიძლება.

ბუმი მართალია, როდესაც ამტკიცებს, რომ რეპრესიული რეჟიმები მეტად ველარ ამოფარებიან სუვერენიტეტს: ის, რაც ტრანზიგენში და "არშემდგარ" სახელმწიფოებში ხდება, დანარჩენ მსოფლიოში უზარმაზარ ინტერესს იწვევს. მაგრამ სხვა სახელმწიფოს მიდა საქმეებში ჩარევა სერიოზულად უნდა იყოს დასაბუთებული, რაც ნათლად განსაზღვრული წესების არსებობას მოითხოვს.

ამერიკას, როგორც მსოფლიო შეგემონს, განსაკუთრებული პასუხიგებლობა აკისრია - მან საერთაშორისო თანამშრომლობის დროს ლიდერის პოზიციები უნდა დაიკავოს. ამერიკას არ შეუძლია, აკვიოს ის, რაც სურს; ამაში ერაყის წარუმატებლობამაც დაგვარწმუნა. მაგრამ, ამავედროულად, ფაქტია, რომ აშშ-ს ხელმძღვანელობის გარეშე, ან უკიდურეს შემთხვევაში, მისი აქტიური მონაწილეობის გარეშე, ცოტა რამის მიღწევა თუ არის საერთაშორისო ასპარეზზე შესაძლებელი. მხოლოდ ამ გაკვეთილების კარგად ათვისების შედეგად შეიძლება პროგრესის მიღწევა იმ კეთილშობილი მიზნების გზაზე, რომელთა დეკლარირებასაც ვორჯ ბუში ახდენს.

პროექტი სინდიკატი, 2005 წლის იანვარი

ვინ არის დოქტორი ბაზარი?

გუშინ მოსკოვში რუსეთ-სირიის სამიტი დაიწყო, სადაც მონაწილეობის მისაღებად სირიის 39 წლის პრეზიდენტი ბაშარ ასადი ჩავიდა. ქვეყნის სათავეში ის 2000 წელს მოვიდა, მაგრამ მისი გვარი ასადი (არაბულად "ლომი") დიდი ხანია, ცნობილია. პრეზიდენტის მამა ჰაფეზ ასადი (სხვათა შორის, საბჭოთა კავშირში გაიარა სტაჟირება, როგორც მფრინავმა) სირიის 30 წლის მანძილზე მართავდა. ასადების დინასტია სირიაში სუნიტური უმრავლესობის ფონზე პატარა, მაგრამ გავლენიან, ალავიტების რელიგიურ თემს მიეკუთვნება (ოფიციალურად, ალავიტები მამამადიანები არიან, თუმცა ისინი ისლამის საყოველთაოდ მიღებული ნორმებიდან განცალკევებით დგანან, მაგალითად, სულეების გადასახლების სჯერათ).

ბაშარ ასადის შესახებ, რომელიც 1965 წლის 11 სექტემბერს დაიბადა, 1994 წელს ალაპარაკდნენ, საავტომობილო კატასტროფაში მისი უფროსი ძმის ბასილის დაღუპვის შემდეგ, რომელსაც პრეზიდენტობისათვის ამზადებდნენ. ბაშარი მაშინ ლონდონში იმყოფებოდა, სადაც ექიმი-ოფთალმოლოგის უნარჩვევებს ავითარებდა. პოლიტიკისკენ ბაშარი არ ილტვოდა, მაგრამ მამის მოთხოვნით ჩაება. "პოლიტიკური ანბანის" კურსს მას მამის უახლოესი თანამებრძოლები უკითხავდნენ, კერძოდ, მამინდელი თავდაცვის მინისტრი მუსტაფა ტლასი. სირიაში, სხვა არაბული ქვეყნების მსგავსად, ხელისუფლებაში ტრადიციულად სამხედრო პირები ფიგურირებენ. მოკლედ, უფროსი ძმის სიკვდილის შემდეგ, ბაშარი - საკმაოდ სამოქალაქო პირი გახდა - დაჩქარებული ტემპებით იკეთებს სამხედრო კარიერას. მან სირიის ქალაქ ჰომსის სამხედრო აკადემიაში ჩააბარა. უკვე 1995 წელს კაპიტნის წოდებით მეთაურობს სატანკო ბატალიონს, შემდეგ საავტომობილო რესპუბლიკურ გვარდიას. 1999 წელს ბაშარი პოლიკონტრი გახდა. ის არ ჰგავდა გარდაცვლილ ძმას, რომელიც ახალგაზრდების კერპი, ბრწყინვალე ოფიცერი, ცხენების, ქალებისა და ლამაზი ტანსაცმლის მოყვარული იყო. ბაშარი წყნარი და მოკრძალებულია.



ასადების დინასტია სირიაში სუნიტური უმრავლესობის ფონზე პატარა, მაგრამ გავლენიან, ალავიტების რელიგიურ თემს მიეკუთვნება.

ბულია, აშკარა ინტრავერტი, საკუთარ თავში ჩაკეტილი, არ უყვარს დიდი თავყრილობები და საჯარო გამოსვლები. ის კარგად ფლობს ინგლისურსა და ფრანგულს, მუშაობდა "ტიმონის" უმსხვილეს სირიულ სამხედრო ჰოსპიტალში ოფთალმოლოგად. ლონდონში, სადაც ექიმის კვალიფიკაციას იმატებდა, ბაშარმა 18 წლის სირიელი ლამაზმანი ასმა აპრასი გაიცნო, რომელზეც შვიდი წლის შემდეგ დაქორწინდა. მისი მეუღლე, რომელმაც ინგლისის რამდენიმე პრესტიჟული სასწავლო დაწესებულება დაამთავრა, "დოიჩე-ბანკის" ლონდონის ფილიალში მუშაობდა. პროვინციული მამისგან განსხვავებით, ახალგაზრდა ასადი ქალაქურ ცხოვრებას მისდევს, დღემდე იტაცებს მუსიკა და დასავლური ესტრადის ისეთი ვარსკვლავების ერთგული რჩება, როგორც ფილ კოლნზი

და უიტნი ჰიუსტონია. სირიელები ხშირად უწოდებენ ბაშარს "დოქტორს" - არაბებში საყოველთაოდ მიღებული მიმართვის ფორმაა, რომელიც არა მარტო მედიკოსებს, აგრეთვე კარგად განათლებულ ადამიანებს ეხება. ის კარგად ფლობს კომპიუტერს და სამშობლოში ინფორმატიკის ასოციაცია წამოაყალიბა, რომელსაც დღესაც ხელმძღვანელობს. ჯერ კიდევ მამის სიციცხლეში, ბაშარ ასადმა სირიაში მობილური სატელეფონო სისტემებისა და ინტერნეტის დაწესებას მიაღწია, რათა "ყველას შეეძლოს იმის ნახვა და ნაკითხვა, რაც უნდა".

ხელისუფლების მწვერვალზე წარმატებულ ასეღას ბაშარი, რასაკვირველია, მამამის უმადლის თუმცა, საამისოდ თვითონაც არანაკლები ძალისხმევა გამოავლინა. როდესაც ავადმყოფი ჰაფეზ ასადი 2000 წლის ივნისში 69 წლის ასაკში გარდაიცვალა, პარლამენტმა კონსტიტუციაში შესწორება შეიტანა: პრეზიდენტი შეიძლება გახდეს 34 წელს მიღწეული მოქალაქე, ანუ რა ასაკშიც იმყოფებოდა ბაშარ ასადი იმ პერიოდში (მანამდე, კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტობა 40 წელს მიღწეულ მოქალაქეს შეეძლო). მას ქვეყანაში უმაღლესი სამხედრო წოდება, არმიის გენერლის მიანიჭეს და უმაღლეს მთავარსარდალად დანიშნეს. მაშინვე, ივნისში, არაბული სოციალისტური აღორძინების მმართველი პარტიის ("ბაასი") ყრილობაზე, ბაშარ ასადი განსვენებული მამის ნაცვლად პარტიის გენერალურ მდივნად დანიშნეს. ილისში ჩატარებულმა სახალხო რეფერენდუმმა საბოლოოდ დაამტკიცა ასადი-უმცროსის უფლება პრეზიდენტობაზე.

24 საათი

მოსკოვის ცენტრში, "მოსკოვის ბანკის" ტერიტორიაზე ავთოქაზა მოხდა

მოსკოვის ცენტრში მდებარე "მოსკოვის ბანკის" ტერიტორიაზე გუშინ აფეთქება მოხდა. ვაერცხლებული ინფორმაციის თანახმად, აფეთქების მსხვერპლი არ მოხვალა. სამართალდამცველი ორგანოების მონაცემებით, ასაფეთქებელი მოწყობილობის სიმძლავრე ტერიტორიის ეკვივალენტით 50 გრამი შეადგინა. შემთხვევის ადგილზე მუშაობა დაუყოვნებლივ დაიწყო მოსკოვის შინაგან საქმეთა სამმართველოს საგამოძიებო ჯგუფ-

მა. ქალაქის პროკურატურამ აფეთქების ფაქტზე ტერორიზმის მუხლით სისხლის სამართლის საქმე აღძრა. პროკურატურის ოფიციალური წარმომადგენლის თქმით, "მოსკოვის ბანკის" წინააღმდეგ, სავარაუდოდ, ამგვარი ტერაქტების სერია მზადდება. ბოში ბანკის უშიშროების სამსახურის თანამშრომლების მიერ იქნა აღმოჩენილი. ზოგიერთი მონაცემებით, ასაფეთქებელი მოწყობილობა ფინანსური დაწესებულების ოფისში ამანათით

შეიტანეს. მას თან ერთვოდა შეტყობინება, რომ ბოში 40 წუთის შემდეგ აფეთქდებოდა. დაწესებულების უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა ამანათი ბანკის ეზოში გაიტანეს და მილიციის თანამშრომლები გამოიძახეს. ცოტახანში კი აფეთქების ხმა გაისმა. "მოსკოვის ბანკის" პრეს-სამსახურის განცხადებით, ასაფეთქებელი მოწყობილობა ბანკის მთავარ ოფისში აღმოაჩინეს და გააუვნებელყვეს. აფეთქებას ბანკის შენობისთ-

ვის მატერიალური ზარალი არ მიუყენებია.

ეს "მოსკოვის ბანკთან" განხორციელებული უკვე მეორე აფეთქებაა.

მარმან, 25 დეკემბერს ამ კომერციული ბანკის მეორე ოფისის მახლობლად თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა ამოქმედდა. მაშინ აფეთქების შედეგად შენობის კარი დაიშხვრა და იქვე მდებარე ერთი ავტომანქანა დაზიანდა.

ინტერ-პრესი

ნანა ნიჟარაძის სკიპი

ენა და თავისუფლება

ამბობენ, რომ საქართველოს არაქართულენოვან მოსახლეობას სახელმწიფო ენას მალე ბალის ასაკიდან შესასწავლიან. საუბრები ამის შესახებ, უკვე ორი კვირაა მესმის, თუმცა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ამ ხმებს არ ადასტურებენ. მაინც დაეინტერესდი და, რადგან ყოველთვის მიჩნდებოდა ერთგვარი პროტესტის გრძნობა, როცა მეტიწარა მშობლები უცხო ენების შესასწავლად რეპეტიტორებს თითისტოლა ბავშვებს უტირავებდნენ, ფსიქოლოგს მივაკითხე. "შესაფოთებელი არაფერია, - მითხრეს, - ამ ასაკში სხვა ენის შესწავლა მშობლიური ენის აღქმას პრობლემებს არ უქმნის".

არ ვიცი, საბოლოოდ რა ასაკიდან გადაწყდება საქართველოს არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის სახელმწიფო ენის სწავლების საკითხი, ვიცი ის, რომ დღეს ამ კუთხით სერიოზული ჩავარდნა გვაქვს. ამ საქმეს აქამდე ენის სახელმწიფო პალატა "ავგარებდა", ისე კარგად, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სულ ახლახანს, დეკემბერში ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა - ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის აზერბაიჯანული და სომხური სკოლების ქართული ენების მასწავლებლებმა ქართულ ენაში მეცხრეკლასელებისთვის მომზადებული ტესტები ვერ დაძლიეს.

ამ მასწავლებლების ძირითადი ნაწილი თავადაც არაქართველია - იმ სკოლების ხელმძღვანელი პირების ახლობლები, სადაც "მუშაობენ". ქართული მათ, ფაქტობრივად, არ იციან. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ენა არც მათ მოსწავლეებს ეცოდინებათ. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის შედეგებში საინტერესო მონაცემებსაც წავაწყდით: ქართული - მათივე სახელმწიფო ენა, იცის საქართველოში მცხოვრები 284761 აზერბაიჯანელიდან - მხოლოდ 43136-მა, 15166 ბერძენიდან - 5338-მ, 38028 ოსიდან - 23636-მა, 67671 რუსიდან - 36647-მა, 248929 სომხიდან - 84076-მა...

წლების განმავლობაში სახელმწიფო ენის სწავლება არაქართულენოვან სკოლებში ცნობილ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. როგორც ჩანს, ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები სხვა ერების წარმომადგენლები, რომლებიც, კარგა ხანია, ამ მიზანწყალზე სტუმრის სტატუსით აღარ ახლობენ, ჯერ ისე არ მიიჩნევენ სჭირდ სახელმწიფო ენის ცოდნას; მეტიც, ქართულის აუცილებელ სწავლებასთან დაკავშირებული საუბრები მათ ნაწილში პროტესტს იწვევს. დემოკრატიული აზროვნებისთვის ეს გაუგებარია - თუ არ იცი ენა, რომელზეც შენი ქვეყანა ლაპარაკობს, განვითარების პერსპექტივაც არა გვაქვს.

საინტერესოა, რომ საქართველოს სხვა ეროვნების მოქალაქეები არ სწავლობენ ქართულს, მაგრამ რუსულს სიამოვნებით ეუფლებიან. ბევრი შეიძლება სასწავლებლად რუსულ სკოლებში აბარებს. შეიძლება, ეს კავშირს "ტრადიციებს", ინერციას ადარებდეს, მაგრამ საბჭოთა დავაში, კარგა ხანია, დაიშალა. ჩვენ ახლა ქიშკრულ კომუნიზმს კი არ ვაშკრებ, დამოუკიდებელ, დემოკრატიულ ქვეყნად ვცდობით ნამოყალიბებებს და, ვისაც ამ ქვეყანაში ღირსეულად ცხოვრება უნდა, ნებისმიერ განვიტარებულ სახელმწიფოში აღიარებული ეს ელემენტარული წესი უპირობოდ უნდა გაითვალისწინოს.

გარდა იმისა, რომ სახელმწიფო ენის უცოდინრობა ბუნებრივად შეუზღუდავს არაქართულენოვან მოსახლეობას მაღალანაზღაურებადი დასაქმების შესაძლებლობას და ამით მათი ადამიანური უფლებების დარღვევას გამოიწვევს, იგი მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ გარკვეულ მოქალაქეობრივ პრობლემებსაც ქმნის. ადამიანი, რომელიც სახელმწიფო ენაზე ვერ ლაპარაკობს, სახელმწიფოს არასრულფასოვანი მოქალაქეა და ძალიან დიდია თეორიული შანსი იმისა, რომ მისგან არც კარგი მოქალაქე დადგება. ამას ფსიქოლოგია ნათლად ადასტურებს - გიყვარს ის, რასაც იცნობ, რაც შენთანაა ახლოა.

